ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
№გ.შ.განკ.1408/2

ქ. თბილისი 26 ივლისი 2016წ.

ერთის მხრივ, **შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“,** შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის იოსებ ოზაშვილის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი”,** შემდგომში „მიმწოდებლად“ წოდებული, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ყიფიანის სახით, “სახელმწიფო შესყიდვის შესახებ” საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის'' მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2016 წლის 22 ივლისის №2151 განკარგულების (SMP160002008) და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივლისის №1408 განკარგულების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. “ხახუტაშვილების უბანში” მისასვლელ საავტომობილო გზის მონაკვეთზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოებზე საპროექტო მომსახურების შესყიდვა, რაც მოიცავს როგორ საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას ასევე პროექტის საავტორო ზედამხედველობას (CPV 71320000) .

1.2. შემსყიდველი ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებულ სამუშაოებს ახორციელებს საქართველოს მთავრობის 2016 წლის 14 ივლისის №1408 განკარგულების საფუძველზე პროექტირების პარალელურ რეჟიმში.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს - 45000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარს დღგ–ს ჩათვლით.

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის 3.1. პუნქტის შესაბამისად წარდგენლი ხარჯთაღრიცხვის საერთო ღირებულების 2.8%-ის ოდენობით.

2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის საავტორო ზედამხედველობის ღირებულება განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის 3.1. პუნქტის შესაბამისად წარდგენლი ხარჯთაღრიცხვის საერთო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საპროექტო დოკუმენტაცია სამუშაოების ხარჯთაღრიცხვასთან ერთად წარუდგინოს ხელშეკრულების 15.1.1. პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში.

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს საპროექტო დოკუმენტაცია ხარჯთაღრიცხვასთან ერთად წარუდგინოს ორ დამოუკიდებელ პროექტად:
3.2.1. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-ზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოებზე.
3.2.2. შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვანი-სულორის საავტომობილო გზის მე-12 კმ-დან ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ სულორში, ე.წ. "ხახუტაშვილების უბანში" მისასვლელ საავტომობილო გზის მონაკვეთზე განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოებზე.
3.3. მიმწოდებელი თითოეულ საპროექტო დოკუმენტაციას ხარჯთაღრიცხვასთან ერთად შემსყიდველს წარუდგენს 3 (სამი) ეგზემპლიარად ნაბეჭდი სახით და ასევე ელექტრონული ფორმით.
3.4. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მთავრობის 14.07.2016 წლის №1408 განკარგულების საფუძველზე შემსყიდველი სამუშაოებს ახორციელებს პროექტირების პარარელურ რეჟიმში, მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას ეტაპობრივად წარუდგინოს შემსყიდველს მუშა ნახაზები და სხვა ინფორმაცია, რაც საჭირო იქნება სამუშოების პარალელურ რეჟიმში შესასრულებლად.
3.5. მიმწდებელი ვალდებულია შეუცვლელად გადაიტანოს საბოლოო პროექტში შემსყიდველისათვის წარდგენილი მუშა ნახაზები.
3.6. შემსყიდველი მიმწოდებლის მიერ წარდგენილი მუშა ნახაზების საფუძველზე განახორციელებს სამუშოების წარმოებას.
3.7. „მიმწოდებლის" მიერ გაწეულ მომსახურებაზე გამოვლენილი დეფექტებისა და უზუსტობების აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემდეგი წესით:
4.1.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საპროექტო დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის გადაცემა განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.1.2 საავტორო ზედამხედველობის მომსახურება სრულად განხორციელებულად ჩაითვლება მშენებლობის დასრულების შემდგომ საავტორო ზედამხედველობის ანგარიშის შემსყიდველისათვის წარდგენის შემდგომ, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.2. ანგარიშსწორების საფუძველია მხარეების უფლებამოსილი პირების მიერ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი და წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

5.1. „მიმწოდებელთან" ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში.
5.2. ანგარიშსწორება ,,მიმწოდებელთან" განხორციელდება შემდეგი წესით:
5.2.1. ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება გადახდილ იქნება 4.1.1. პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშო დღის განმავლობაში.

5.2.2. პროექტის საავტორო ზედამხედველობის ღირებულება გადახდილ იქნება 4.1.2.პუნქტით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს „შემსყიდველს“ ხარისხიანი მომსახურება.

6.1.2. კეთილსინდისიერად შეასრულოს ნაკისრი ვალდებულება;

6.1.3. დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.1.4. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.1.5 თავისი ხარჯით გამოასწოროს გაწეული მომსახურების ხარისხის ხარვეზი.

6.1.6. შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მოახდინოს გაწეული მომსახურების სრული ინფორმაციული უზრუნველყოფა.

6.2. "შემსყიდველი" ვალდებულია:

6.2.1. უზრუნველყოს "მიმწოდებლისათვის" თანხის გადახდა 5.2. პუნქტის შესაბამისად.

6.2.2. დროულად განიხილოს წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.

6.2.3.. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

6.3. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშოების განხორციელების პროცესში წარმოიშობა საპროექტო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშოების განხორციელების აუცილებლობა, ამ სამუშოებისათვის საპროექტო დოკუმენტაციის შედგენას დამატებითი ანაზღაურების გარეშე უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშოების განხორციელების პროცესში წარმოიშობა საპროექტო დოკუმენტაციაში ცვლილების განხორციელების აუცილებლობა, საპროექტო დოკუმენტაცის ცვლილებას დამატებითი ანაზღაურების გარეშე უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

მუხლი 7. მხარეთა უფლებები

7.1. "მიმწოდებელს" უფლება აქვს:

7.1.1. ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს გაწეული მომსახურების ღირებულების დროული და სრული ანაზღაურება.

7.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

7.2.1 აწარმოოს ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი.

7.2.2 არ მიიღოს უხარისხო შესრულება.

მუხლი 8. საავტორო ზედამხედველობა

8.1 მიმწოდებელი კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა;

8.2. მიმწოდებელი ვალდებულია გამოცხადდეს ობიექტზე და მშენებლობის პროცესში შეამოწმოს შესრულებული სამუაშოების შესაბამისობა პროექტთან და მუშა ნახაზებთან. ობიექტზე გამოცხადების ვადებზე მხარეები დამატებით შეთანხმდებიან.

8.3. მიმწოდებელი ვალდებულია ობიექტზე გამოვლენილი ხარვეზების შესახებ ინფორმაცია დააფიქსიროს შესაბამის ჟურნალში.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნეს საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით, ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და სხვა.

9.3. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობებისდა მიხედვით გრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს–მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 10. ხელშეკრულების პირობების და ფასების გადასინჯვა

10.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შპს ,,სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის" პროექტების მართვისა და ანალიზის სამსახურის უფროსი მალხაზ ხოშტარია.

მუხლი 11. დავების გადაწყვეტა

11.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით.

11.2. თუ შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს გზით. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში.

მუხლი 12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების

შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნონ ერთმანეთს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის (შეთანხმების) გზით.

მუხლი 13. მხარეთა პასუხისმგებლობა

13.1. ,,მიმწოდებელი" პასუხისმგებელია შესრულებულ პროექტზე. ,,მიმწოდებელი" ვალდებულია ,,შემსყიდველს" აუნაზღაუროს პროექტის შესაბამისად წარმოებული სამუშაოებიდან წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა და შესაბამისი ზიანის ანაზღაურება სრული მოცულობით.

13.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არასათანადო შესრულებისათვის მხარეები აგებენ პასუხს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

13.3. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, ამავე ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

13.4. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრუებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის და ანაზღაურებენ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეულ ზარალს, თუ ასეთს ჰქონდა ადგილი.

13.5. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1. ხელშეკრულება შეიძლება შეწყვეტილ იქნეს:

14.1.1. ურთიერთვალდებულებების შესრულებით;

14.1.2. მხარეთა შეთანხმებით;

14.1.3 საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 15. დამატებითი პირობები

15.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო მომსახურების განხორციელების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

15.1.1. ხელშეკრულების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლისათვის წარდგენის ვადა განისაზღვრება არაუგვიანეს 2016 წლის 13 აგვისტოსი.

15.1.2. საავტორო ზედამხედველობის ვადა განისაზღვრება სამუშაოების სრულად დასრულებამდე.

15.2 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 16. გამოყენებითი სამართალი

16.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 17. დასკვნითი დებულებები

17.1. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილია, მიუხედავად ბათილობის საფუძვლისა, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ბათილობას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების დარჩენილი დებულებები მოქმედებს ბათილი დებულების გარეშე.

17.2. მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, წინამდებარე ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს ცვლილებები და დამატებები.

17.3. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება „მიმწოდებელთან" ერთი ეგზემპლარი - შემსყიდველთან.

მუხლი 18. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
შპს "სახელმწიფო სამშენებლო კომპანია" იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ორხევის დასახლება, ახვლედიანის #21 ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ო. ჩხეიძის #10 ს.კ № 205140257 **საბანკო რეკვიზიტები**: სს „თიბისი ბანკი", **ბანკის კოდი**: TBCBGE22 ა/ა: GE17TB1100000360200175 იოსებ ოზაშვილი დირექტორი	**შ.პ.ს „საპროექტო-საკონსულტაციო კომპანია ბითი"** იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ძმები კაკაბაძეების #11, ბინა 1 ს/კ №204472695 **საბანკო რეკვიზიტები**: სს „თიბისი ბანკი", **ბანკის კოდი**: TBCBGE22 ა/ა: GE68TB1100000107467309 ლევან ყიფიანი დირექტორი